ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7723839

ნომერი: AR11117303

თარიღი : 13.11.2025

გაცემის თარიღი : 01.12.2025

გაცნობის თარიღი : 01.12.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N 17 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ენუქიძის , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "კნაუფ გიპს თბილისი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205181532
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მარინა დაციუკი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 577400820

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 57407.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 346.8
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1560.6

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1213.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 346.8
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 5.75
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 4.75
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1 . შეთანხმდეს ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, ქიზიყის ქუჩა, N17, ენუქიძის ქუჩა, N7 კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული #13/1 ; #07/1; შენობა/ნაგებობ(ებ)ის დემონტაჟის პროექტი.
2 . გაიცეს დემონტაჟის მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს დემონტაჟის მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
3. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 01 დეკემბრიდან 2026 წლის 01 აპრილის ჩათვლით.
4 . დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი, კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით,პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, მათ შორის:
4.1. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების შესაბამისად მშენებლობის ორგანიზაციის სრულყოფილი პროექტი და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საინფორმაციო აბრა;
4.2. სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმის დაცვით და უზრუნველყოფილ იქნას მომიჯნავე შენობის კონსტრუქციული მდგრადობა.
4.3. სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს ტერიტორიაზე არსებული კომუნიკაციების დაუზიანებლად.
4.4. მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.
4.5. გათვალისწინებულ იქნას მომიჯნავე შენობების ტექნიკური მდგრადობის კვლევაში მითითებული რეკომენდაცია.

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.